უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 01.08.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ჩინჩალაძე - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;

თინათინ ზურაბიშვილი - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველოს კვლევების დირექტორი;

ლილი ბიბილაშვილი - შპს - „HR პროფესიონალთა გილდიას'' პრეზიდენტი;

დავით აფრასიძე - ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლელა ქელბაქიანი - შპს - „ქუთაისის უნივერსიტეტის'' რექტორი;

კახაბერ ჯაყელი - შპს - „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტის'' პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ელენე ჯიბლაძე - დირექტორი;

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი- ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციისა სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. კახაბერ კორძაია - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი;
2. მარინა გედევანიშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი;
3. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
4. ქეთევან გაჩეჩილაძე - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
5. ნატალია ბარათელი - შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. გოჩა თოდუა - შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ფინანსური მენეჯერი;
7. მარიამ მუსხელიშვილი-უფაძე - შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის დამფუძნებელი;
8. ნანა რიჟამაძე - შპს - თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

9. ნონა ზუმბაძე - შპს - თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
10. ანზორ შარაშენიძე - შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
11. მარიამ ხუციშვილი - შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. ზვიად არძენაძე - შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის იურისტი;
13. ეკატერინე როჭიკაშვილი - შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტები):
?????მაია თეთრუაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
თამარ ტუფინაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თამარ გვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.
მაკა კაჭარავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 20:00 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭიღლაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში წარმოდგენილი იყო შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა ,,შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 1 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანასა და სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა. საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ,,შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 1 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. „შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 1 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანა ჭიღლაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა. მან აღნიშნა, რომ „შპს - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 25 აგვისტოს №156 გადაწყვეტილებით, „შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს“ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ ოდენობად განესაზღვრა 850 სტუდენტი, მათ შორის, 50 პროფესიული სტუდენტი. „შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 1 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებით, აღნიშნული დაწესებულების სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა გაიზარდა 2000 სტუდენტამდე. ამ ეტაპზე დაწესებულების სურვილი იყო სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გაზრდილიყო 100 პროფესიულ სტუდენტამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით არ ირღვეოდა დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა, შესაბამისად, თავისუფლად შეიძლებოდა დაწესებულების შუამდგომლობის დაკმაყოფილება. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 1 დეკემბრის №380 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და სტუდენტთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს“ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

2. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაია თეთრუაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2012 წელს შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს ავტორიზაციის მიზნებისთვის ჰქონდა:

- შვიდსართულიანი კაპიტალური შენობა 6592,22 კვ.მ. ფართი (მის.: ქ. თბილისი, ჩარგალის ქ. №73. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.12.06.001.015).
- 2012 წლის ნოემბერში, ამავე მისამართზე, 10-წლიანი საიჯარო ხელშეკრულებით, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნვერსიტეტის სარგებლობაში გადავიდა ჯამში 7001, 97კვ.მ. ფართი.
- საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში გამოიყენებოდა: 94 კომპიუტერი, 16 ნოუთბუქი, 6 პროექტორი, 2 სერვერი, 6 პრინტერი, 2 სკანერი, 9 კომბაინი, 1 ფაქსი.
- უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობა 11 923 ერთეულს მოიცავდა, აქედან, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელოების რაოდენობა 7587–ს შეადგენდა, ხოლო 4336 ერთეული დამხმარე ლიტერატურა იყო.

ამ რესურსების საფუძველზე, 2012 წლის 18 სექტემბერს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა და სტუდენტთა კონტინგენტი 2000 – ით განესაზღვრა.

2013 წლის 18-19 აპრილისათვის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს:

- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს 10-წლიანი საიჯარო ხელშეკრულებით დამატებული აქვს შენობა, რომლის საერთო ფართია 2967, 83 კვ.მ. აქედან, 2407 კვ.მ. სასწავლო ფართია, ხოლო 560,83 კვ.მ. - დამხმარე (საკადასტრო კოდი №01.12.03.007.029; მისამართი: ქ. თბილისი, ურეკის ქ. №2).

- უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს 13 965 ერთეულს, საიდანაც 9429 ერთეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოა, დანარჩენი კი, დამხმარე სახელმძღვანელო.
- უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი განთავსებულია 2 ბიბლიოთეკის საცავში. ბიბლიოთეკებს ახლავს 86 მკითხველზე გათვლილი სამკითხველო დარბაზები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერებით, ქსეროქსებით, პრინტერებით, სკანერითა და სხვა აუცილებელი ინვენტარით.
- უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სრულადაა ასახული სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში „openbiblio" (www.ciu.edu.ge/openbiblio), რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი ავტორიზებული მომხმარებლისთვის.
- ბიბლიოთეკაში 23 დასახელების პერიოდიკაზეა ხელმოწერა გაფორმებული.
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, ხოლო 2010 წლიდან არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი.
- უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული საკანონმდებლო მონაცემთა ბაზა „Codex".
- უნივერსიტეტი გაწევრიანებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (საჯარო ბიბლიოთეკა), როგორც ბიბლიოთეკათშორისი აბონენტი და სარგებლობს ბიბლიოთეკათშორისი სააბონენტო მომსახურებით.
- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია ასოციაცია „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – eIFL", მონაწილეთა კონსორციუმის წევრად და მინიჭებული აქვს უფლება, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCO Publishing; Cambridge University Press; Royal Society Publishing, Journals Online; Ebrary; Bioone; The New England Journal of Medicine.

დღეისათვის, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში გამოიყენება:

- 148 კომპიუტერი, 20 ნოუთბუქი, 14 პროექტორი, 3 სერვერი, 12 პრინტერი, 2 სკანერი, 13 კომბაინი, 1 ფაქსი.

სულ, სასწავლო ინვენტარის სახით უნივერსიტეტი ფლობს:

- მერხებს 3106 დასაჯდომი ადგილით;
- 3076 ერთეულ სკამს;
- 85 ერთეულ დაფას.

უნივერსიტეტში, პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, ფუნქციონირებს:

- სასამართლო დარბაზი, იმიტირებული პროცესების ჩასატარებლად;
- იურიდიული კლინიკა;
- რადიო და ტელეჟურნალისტიკის სასწავლო-შემოქმედებითი ლაბორატორიები, სტუდიები, სამონტაჟოები;
- კავკასიური გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორია;
- კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესების კვლევის ცენტრი;
- ადამიანური უსაფრთხოების კვლევითი ცენტრი;
- უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი;
- სტამბა;
- საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა;

- მედიცინის საბაზისო დისციპლინების საუნივერსიტეტო სასწავლო ლაბორატორია;
- ტურიზმის კაბინეტი, რომელშიც სტუდენტები სწავლობენ სასწავლო ტურების შედგენას, აწყობენ ბიზნეს – სიმულაციებს, გეგმავენ ექსკურსიებს, ეპატიჟებიან დარგის წამყვან სპეციალისტებს და ა.შ.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

უნივერსიტეტი ახორციელებს 12 აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას უნივერსიტეტი ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსით.

უნივერსიტეტს პროგრამების განხორციელების მიზნით, შვიდი კონკურსის საფუძველზე, არჩეული ჰყავს 127 აკადემიური პერსონალი. აქედან 84 სრული და ასოცირებული პროფესორია.

ექსპერტის, მაია თეთრუაშვილის, განცხადებით, ფაქტობრივ მდგომარეობაზე დაყრდნობით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტს ჰქონდა 2800 სტუდენტის ერთდროულად მომსახურებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაბამისი ადამიანური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის, მარინა გედევანიშვილის, განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, შეცვლილი იყო ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს დამატებული ჰქონდა 450 კვ.მ. სასწავლო ფართი. მისი განცხადებით, დაწესებულება ფლობდა 7-სართულიან და 4-სართულიან შენობებს, ჯამში, დაახლოებით 10 000 კვ.მ.-ს. ამასთან, მან დასძინა, რომ გაზრდილი იყო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 14 066 წიგნამდე. მარინა გედევანიშვილის განცხადებით, როდესაც დასკვნაში საუბარი იყო დამხმარე ლიტერატურაზე, იქ არ იგულისხმებოდა მხატვრული ლიტერატურა. მისი განმარტებით, დამხმარე ლიტერატურაც კი, შესაბამისი დარგის იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გაზრდილი იყო ტექნიკის რაოდენობაც, კერძოდ, უნივერსიტეტი ფლობდა 148 კომპიუტერსა და 2 ნოუთბუქს.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა რაოდენობის 3500-ით განსაზღვრა.

ექსპერტის, მაია თეთრუაშვილის განცხადებით, დასკვნაში მითითებული რაოდენობა მათ დაასახელეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იანგარიშეს 1 სტუდენტზე დაახლოებით 3 კვ.მ. ფართი, როგორც ამას ავტორიზაციის საბჭოს პრაქტიკა ითვალისწინებდა.

საბჭოს წევრმა, თინათინ ზურაბიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს რომელი იყო ყველაზე წარმატებული სპეციალობა დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ყველაზე მოთხოვნად სპეციალობებად ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალი ითვლებოდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თვლიდა თუ არა დაწესებულება, რომ 3500 სტუდენტის მიერ იქნებოდა მოთხოვნა აღნიშნულ უნივერსიტეტზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, 1400-მდე სტუდენტი სწავლობდა დაწესებულებაში და რადგან მაქსიმალური კონტინგენტი 2000 იყო, მათ მიღება, მხოლოდ, 600 სტუდენტზე ჰქონდათ გამოცხადებული. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მომავალში, მოთხოვნა უნივერსიტეტზე იქნებოდა.

მარინა გედევანიშვილის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ შეცვლილი იყო აკადემიური პერსონალის რაოდენობაც. კერძოდ, სტომატოლოგიის ინგლისურენოვან პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, რომლის გათვალისწინებითაც, დაწესებულებას 4 ახალი აკადემიური პერსონალი (ერთი სრული პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი) დაემატა. ამდენად, ვიზიტის დროს იყო 84, ხოლო საბჭოს სხდომის მდგომარეობით - 88.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ რა კონტინგენტზე იყო გათვლილი ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სტუდენტები იყვნენ ერაყიდან, ირანიდან და სირიიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201951637) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3500-ით.

3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თამარ ტუფინაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტის, თამარ ტუფინაშვილის განმარტებით, დაწესებულება ახორციელებდა 11 საბაკალავრო და 7 სამაგისტრო პროგრამას.

მისი განცხადებით, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებს ჰქონდა განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციები დარგის, მიმართულების ან დარგის მიმართულებების გათვალისწინებით, თუმცა, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამებში კვალიფიკაციები ჰქონდათ სპეციალიზაციებით დაკონკრეტებული. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებამ დაიწყო კვალიფიკაციებისაგან სპეციალიზაციების ჩამოშორების პროცესი. აღნიშნული კვალიფიკაციები დამკიცებული იქნა აკადემიური საბჭოს მიერ. მისი განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია ცენტრშიც იქნა წარმოდგენილი.

თამარ ტუფინაშვილის განცხადებით, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

მისი განმარტებით, დაწესებულებას, დამატებით, სურდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება. შესაბამისად, დაწესებულება შემოწმდა აღნიშნული კუთხითაც. დაწესებულება ახორციელებდა 11 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების კუთხით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული.

დავით აფრასიძემ მიმართა ექსპერტს, განემარტა დასკვნაში მითითებული გარემოება სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

თამარ ტუფინაშვილის განცხადებით, დაწესებულების ძირითადი შენობა იყო ძალიან კარგ მდგომარეობაში, უახლესი რემონტითა და აღჭურვილობით. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ფლობდა ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. 20-ში მდებარე ნაგებობაში 245.19 კვ.მ. ფართს (დაწესებულების ერთ-ერთი შენობა). აღნიშნული ფართი უნივერსიტეტისათვის

გადაცემული ჰქონდა თვითმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანო - საკრებულოს თავჯდომარის N02/294 ბრძანების (08.04.2013) საფუძველზე. მისი განცხადებით, აღნიშნულ ნაგებობაში არსებული ფართის რემონტი საჭიროებდა განახლებას, თუმცა მიუხედავად ამისა, ეს ფართი სასწავლო პროცესისათვის სრულად მწყობრში იყო. მისი განმარტებით, დასკვნაში აღნიშნული ჩანაწერი ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ ეჩვენებინა ის განსხვავება, რაც იყო დაწესებულების ახალი შენობისა და აღნიშნული ფართის მდგომაროებას შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების რექტორის, ერმილე მესხიას, განცხადებით, კვალიფიკაციებთან დაკავშირებით, აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ კურსდამთავრებულებს თავდაპირველი ჩანაწერით არ ჰქონდათ კვალიფიკაცია მინიჭებული. მხოლოდ, ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე იყო სპციალიზაციები მითითებული, რომლებზეც მიღება არ იყო გამოცხადებული.

შენობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, მთავრობის მიერ ამ მიზნებისთვის გადარიცხული იყო თანხა, გამოცხადებული იყო ტენდერი და სასწავლო წლის დასაწყისისთვის რემონტი დასრულებული იქნებოდა.

საბჭოს წევრის, კახაბერ ჯაყელის, განცხადებით, მისიის ფორმულირება, ტექსტი, უფრო დაწესებულების ხედვა იყო, ვიდრე ის, რასაც მისია უნდა ითვალისწინებდეს. მისი განცხადებით, აღნიშნული, შენიშვნა არ იყო, მხოლოდ, მისი მოსაზრება გახლდათ, რომელიც დაწესებულებას, სურვილისამებრ, რეკომენდაციად შეეძლო მიეღო.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა და მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა რაოდენობის 1300-ით და პროფესიულ სტუდენტთა 200-ით განსაზღვრა.

საბჭოს წევრი, თინათინ ზურაბიშვილი, დაინტერესდა რეალურად, ეყოლებოდა თუ არა დაწესებულებას ამ რაოდენობის სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დასავლეთ საქართველოში ხელოვნების სპეციფიკის მქონე საგანმანათლებლო პროგრამები, მხოლოდ, ამ სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა, თუმცა ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სტუდენტებს ჰქონოდათ მოთხოვნა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სწავლისა. ამასთან, მან დასძინა, რომ მომავალი 5 წლის პერსპექტივით ხედავდნენ ამ რაოდენობის ათვისებას.

ერმილე მესხიას განცხადებით, 2009 წელს მოპოვებული ლიცენზიის ფარგლებში, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა 328 სტუდენტის მიღების უფლება, ამდენად, ყოველთვის მცირე კონტინგენტს აცხადებდა დაწესებულება აბიტურიენტების მისაღებად.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჯაყელმა, განაცხადა, რომ გასათვალისწინებელი იყო დაწესებულების მართვის საკითხიც. შეძლებდა თუ არა სასწავლო უნივერსიტეტი 328 სტუდენტის მომსახურებიდან, პირდაპირ, 1300 სტუდენტისათვის სათანადო დონეზე მომსახურების შეთავაზებას.

ერმილე მესხიას განცხადებით, დაწესებულებას, სათანადო როგორც მატერიალური, ისე, ადამიანური რესურსი გააჩნდა, ამდენად, ეს პრობლემა არ იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჯაყელმა, განაცხადა, რომ ბიზნესის ასეთი სწრაფი ზრდა საშიშიც კი იყო.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის წარმოამდგენელმა განაცხადა, რომ მოთხოვნა მაღალი იყო. 1 მისაღებ ადგილზე 5-6 აბიტურიენტი მოდიოდა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჯაყელმა, განაცხადა, რომ მართვაში იგულისხმებოდა დაგეგმვა - ორგანიზება - ლიდერშიფი და კონტროლი, მთ შორის, ფინანსური კონტროლი. ამ ყველაფრის მართვა არ უნდა დამდგარიყო რისკის ქვეშ.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს მოთხოვნილ რაოდენობასთან ფართის ადეკვატურობაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ის ფართი, რაც დამხმარე ფართად იყო მიჩნეული, გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისათვისაც, სასწავლო უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე რადგან იქ სპექტაკლებისა და გამოფენების მოწყობა შეიძლებოდა.

საბჭოს წევრებმა დააზუსტეს ექსპერტთან, დაახლოებით რამდენი კვ.მ. ემატებოდა დამხმარე ფართიდან სასწავლო ფართს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ასეთი 300 კვ.მ. იყო.

შესვენება გამოცხადდა - 20:15 საათზე.

საბჭო გავიდა სათათბირო ოთახში.

სხდომა განახლდა - 20:21 საათზე.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1300-ით, მათ შორის, პროფესიულ სტუდენთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

4. შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიაში ვიზიტით მყოფიექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნონა ზუმბაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჯაყელმა, განაცხადა, რომ საქმეში არსებული დოკუმენტაციის თანახმად, დაწესებულება გეგმავდა სტუდენტების მომზადებას გლობალურ ბაზარზე დასაქმებისათვის, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს სთავაზობდა თუ არა დაწესებულება სტუდენტს უცხოენოვან პროგრამებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება, მართლაც, აკეთებდა სერიოზულ განაცხადს, თუმცა ეს იყო გრძელვადიანი პერსპექტივა და ამ ეტაპზე, მსგავს მომსახურებას დაწესებულება სტუდენტს ვერ სთავაზობდა.

საბჭოს წინაშე პოზიციის დაფიქსირება ითხოვა საექსპერტო ჯგუფის წევრმა, თამარ გვიანიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ინგლისური ენის სწავლებას, საერთო ჯამში, ეთმობოდა 20 კრედიტი. აღნიშნულ 20 კრედიტში მოიაზრებოდა, ასევე, დარგობრივი ინგლისური ენაც, რომელიც ითვალისწინებდა შესაბამისი დარგის ტერმინოლოგიის შესწავლას.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, აღნიშნა, რომ მისასალმებელია, როდესაც დაწესებულებას არ უფიქსირდება არც ერთი ხარვეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა, განაცხადა, რომ ერთი წლის წინ, ავტორიზაციის გავლის პირველი მცდელობის დროს, დაწესებულებაში დაფიქსირდა საკმაოდ დიდი რაოდენობის ხარვეზი, რომლებიც აღმოფხვრილ იქნა.საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა შენობა დაწესებულების საკუთრებაში.დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა, განაცხადა, რომ შენობა იყო დაწესებულების საკუთრებაში.საბჭოს წევრმა, თინათინ ზურაბიშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სტუდენტები.დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა, აღნიშნა, რომ შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიას, მხოლოდ, მილევად რეჟიმში ჰყავდა სტუდენტები (134 სტუდენტი). მისი განმარტებით, აღნიშნული პირები ჩაირიცხნენ იმ დროს, როდესაც დაწესებულება იმყოფებოდა ლიცენზირებულ რეჟიმში.

საექსპერტო ჯგუფის წევრმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ ლიცენზირებულ და ავტორიზებულ რეჟიმში სწავლებისათვის განკუთვნილი ფართი გამიჯნული იყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა 700 კვ.მ. სასწავლო ფართი, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენდა 21-ს. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 23 აკადემიური პერსონალიდან 2-მა საკუთარი ინიციატივით დატოვა აკადემიური თანამდებობა, შესაბამისად, 2 ვაკანტურ ადგილზე დაწესებულება გეგმავდა კონკურსის გამოცხადებას. შესაბამისად, დაწესებულების სურვილი იყო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 400- 450 სტუდენტის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა, ლიცენზირებულ რეჟიმში სწავლებისათვის განკუთვნილი ფართი აღნიშნულ 700 კვ.მ. ფართი შედიოდა თუ არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ 700 კვ.მ. იყო, უშუალოდ, ავტორიზაციის მიზნებისათვის განკუთვნილი ფართი.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, როდის ამთავრებდნენ სწავლას ლიცენზირებულ რეჟიმში ჩარიცხული სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლა არაავტორიზებულ რეჟიმში დასრულდებოდა მიმდინარე წელს.

საბჭომ იმსჯელა შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204379083) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

5. შპს - თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიაში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, თეა ნადირაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 საგანმანათლებლო პროგრამითა და სილაბუსებით გათვალისწინებულია საკონსულტაციო დრო (თითოეულ საგანში 2სთ), რომელიც დაანგარიშებულია საკონტაქტო დროის მოცულობაში. მაგალითად – ლექცია 30სთ, პრაქტიკული მეცადინეობა 15სთ, შუალედური შეფასების გამოცდა 2სთ, კონსულტაცია 2სთ, დასკვნითი გამოცდა 2სთ. კურიკულუმის, სილაბუსების სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებში და მეთოდებში, სწავლა–სწავლების მეთოდებში არ არის განსაზღვრული კონსულტაცია, როგორც შედეგების მიღწევის ერთ–ერთი საშუალება. საგანმანათლებლო პროგრამა განმარტავს შემდეგს: „სტუდენტს შეუძლია გაუგებარი საკითხების გარშემო კითხვები დაუსვას ლექტორს, ამისათვის შეუძლია გამოიყენოს ელექტრონული საშუალებებიც. შესაძლებლობის შემთხვევაში ლექტორი პასუხს გასცემს სტუდენტს დაუყონებლივ, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში კი, დანიშნავს დამატებით შეხვედრას/კონსულტაციას“. შესაბამისად, საკონსულტაციო დრო გამოყენებული იქნება საჭიროების შემთხვევაში და შესაძლოა ის არ დასჭირდეს სტუდენტს/სტუდენტებს. სილაბუსებით განსაზღვრული სტუდენტთა სასწავლო საქმიანობის რეალური დატვირთვა 125 საათის ნაცვლად შეადგენს 123 საათს (შეუსაბამოა კრედიტთა გაანგარიშების წესთან).

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ 1.1 შენიშვნის იდენტურ შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს უკვე ჰქონდა ნამსჯელო და გაცხადებული, რომ იგი არ ეთანხმება ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ ამ შენიშვნას. შესაბამისად, საბჭომ მოცემულ შემთხვევაშიც, არ გაიზიარა 1.1 შენიშვნა.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.2 საგანმანათლებლო პროგრამებში – ძირითად ნაწილში (მაგ: „მენეჯმენტის“ მე–7 გვერდი), განსაზღვრულია სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, რომელიც საერთოა ყველა სასწავლო კურსისათვის, რომელიც მოიცავს – „შუალედურ სემესტრულ შეფასებას – 60 ქულა; დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა. შუალედური სემესტრული შეფასება (60 ქულა) შედგება: ა) შუალედური გამოცდა – 20 ქულა (20%) ტარდება წერითი ფორმით: ტესტური ან

თეორიული საკითხები ან კომბინირებული (...) (შემდგომ გაწერილია ტესტებისა და საკითხების შეფასების კრიტერიუმები); ბ) სხვა აქტივობები – (შეფასება 40ქულა) – რომელთა გადანაწილება ხდება თითოეული ლექტორის მიერ სასწავლო კურსის შესწავლის საჭიროებიდან გამომდინარე და გაწერილია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში; გ) დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს და ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. გამოცდა ტარდება წერითი ფორმით: ტესტური ან თეორიული საკითხები ან კომბინირებული". აღნიშნულით დასტურდება, რომ კურიკულუმით გაწერილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი სასწავლო კურსებში ფასდება ყველგან (სადაც სახეზეა აღნიშნული შედეგი) იდენტურად – ტესტი ან/და თეორიული საკითხები. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შემუშავება და საწარმოო პრაქტიკა, რომელთა სილაბუსებში განსაზღვრულია კურიკულუმის შეფასების სისტემისაგან განსხვავებული შეფასების სისტემა. [1]აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, პროგრამისა და სილაბუსების თანხვედრა არ დგინდება, არ დასტურდება თანმიმდევრული სტრუქტურა ([1]თეა ნადირაძის შეფასება). მაკა კაჭარავა ზემოთ აღწერილს ადასტურებს, თუმცა ის არ იზიარებს არათანმიმდევრული სტრუქტურის არსებობას და შეფასებაა შემდეგნაირი - [2]დასტურდება აკადემიის მიერ შემუშავებული საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის შესრულების ინსტრუქციით ([2]მაკა კაჭარავა შეფასება).

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმებას მასთან ერთად ახორციელებდა ექსპერტი მაკა კაჭარავა. ამასთან, რიგ შემთხვევებში, ექსპერტებს გააჩნდათ განსხვავებული აზრი/შეფასება, რაც 1.2 შენიშვნასთან დაკავშირებითაც დაფიქსირდა.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭომ მიმართა ექსპერტს დამატებითი განმარტების თხოვნით.

ექსპერტმა თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ კურიკულუმში განსაზღვრული იყო შუალედური შეფასებების საერთო წესი (რომელიც საერთოა ყველა საგნისათვის), თუმცა საბაკალავრო ნაშრომთან და პრაქტიკის კომპონენტთან მიმართებით სილაბუსში მოცემული იყო შეფასების განსხვავებული წესები. შესაბამისად, არ არის თანხვედრა კურიკულიმსა და სილაბუსში მითითებულ შეფასების წესებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომისა და საწარმოო პრაქტიკის შეფასების წესი დაწესებულების მიერ გაწერილი იყო, ხოლო ის ფაქტი რომ აღნიშნული შეფასების წესი არ ემთხვეოდა კურიკულუმში არსებულ ზოგად წესს, ბუნებრივი იყო, რადგან შეუძლებელი იყო მაგ.: „პროფესიული ეთიკისა" და საბაკალავრო ნაშრომის იდენტური წესით შეფასება.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ მოცემული საუბრიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ექსპერტი, კონკრეტულად, თეა ნადირაძე, სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ თუ პროგრამაში მითითებული იყო, რომ ყველა საგანი ფასდებოდა საერთო წესის მიხედვით, პროპორციით 60/40-ზე, რატომ არ იყო ეს წესი დაცული საბაკალავრო ნაშრომის შეფასების დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ პროპორცია 60/40-ზე დაცული იყო, როგორც საბაკალავრო ნაშრომის, ისე, საწარმოო პრაქტიკის შეფასების დროს, უბრალოდ, საკუთარი ინსტურქცია გააჩნდა საბაკალავრო ნაშრომს და საკუთარი - საწარმოო პრაქტიკას.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ დავის საგანი არც გამხდარა შეფასების პროპორცია, მოცემულ შემთხვევაში, უმთავრესი იყო ის, რომ ტექსტი - „ან/და თეორიული

საკითხები“ ვერ იქნებოდა გამოყენებული საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში შუალედური შეფასების დროს; მაშინ როდესაც, კურიკულიმში დაფიქსირებული იყო, რომ კურიკულუმში შემავალი ყველა საკითხი უნდა მოიცავდეს ასეთ შეფასებას.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, წარმოადგენდა თუ არა საბაკალავრო ნაშრომი „საგანს“.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომი არ იყო „საგანი“.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, მისთვის გაუგებარი იყო, თუ რა იყო სადავო.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომი მართალია არ არის საგანი, მაგრამ პრაქტიკული კომპონენტი საგანს წარმოადგენს.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, განაცხადა რომ პრაქტიკული კომპონენტი არ არის საგანი, საგანი შეიძლება იყოს საწარმოო პრაქტიკა.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.3 უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო განსზღვრავს დაწესებულების მისიიდან გამომდინარე კურიკულუმში სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას (მე-3 მუხლი „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე, სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით“.) საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგების აღწერას დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შედეგებში გაწერილია დარგობრივი შედეგები, ხოლო არ არის ასახული ზოგადი კომპეტენციები. ასევე, დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნის – „აღზარდოს ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისადმი ერთგული, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული, მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული თვითშეგნების მქონე“ პირი – მისაღწევად საჭირო შესაბამისი სწავლის შედეგები ან მის მისაღწევად საჭირო სასწავლო კურსები კურიკულუმით გათვალისწინებული არ არის. ამ კონტექსტში საგანმანათლებლო პროგრამიდან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საგანი – „სოციალური კონფლიქტები“, „საკონსტიტუციო სამართალი“, „საარჩევნო სამართალი“, რომელთა სწავლით ნაწილობრივ მაინც მიიღწეოდა მისიით განსაზღვრული მიზნები, თუმცა ჩამოთვლილი სასწავლო კურსები კურიკულუმით განსაზღვრულია, როგორც არჩევითი საგნები.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ გაწერილი იყო 6-ვე ზოგადი კომპეტენცია, მოდულში კი, გაწერილი იყო დარგობრივი კომპეტენციები.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა, იყო თუ არა სწავლის შედეგები ზოგადი და ჩაშლილი იყო თუ არა მოდულებში დარგობრივად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, თეა ნადირაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი ზემოაღნიშნულს.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ კურიკულუმით გაწერილი იყო 6-ვე კომპეტენცია, მაგრამ კვალიფიკაციათა ჩარჩო მოითხოვს რომ მოდულის კომპეტენციებით

იყოს გაწერილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები (მე-3 მუხლი - „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო პროგრამის, *ასევე სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით*".). მოცემულ შემთხვევაში, მოდულში წარმოდგენილი იყო, მხოლოდ, დარგობრივი კომპეტენციები.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მისი მოსაზრებით, იგულისხმებოდა, რომ სილაბუსში უნდა ყოფილიყო სწავლის შედეგები გაწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით; შესაბამისად, თუ დაწესებულების სილაბუსებში ეს არ ფიქსირდებოდა, აღნიშნული იქნებოდა სადავო, მაგრამ პროგრამასთან მიმართებით, ძნელად წარმოსადგენი იყო პროგრამაში ყველა საგნის ცალ-ცალკე სწავლის შედეგის გადატანა და თითოეულთან მიმართებით ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გამოყოფა.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ აღნიშნა, საუბარი იყო იმაზე, რომ კვალიფიკაციათა ჩარჩოში არის ჩანაწერი, რომ მოდული უნდა განსაზღვრავდეს დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ ეს რელევანტური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი სილაბუსებში მოიძიებდა და ვერ ნახავდა ამ ინფორმაციას.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, განაგრძო სიტყვა და განაცხადა, რომ მოდულის შედეგებში ასახული იყო, მხოლოდ, დარგობრივი კომპეტენციები.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, „მოდული" გულისხმობდა თუ არა ერთიან პროგრამაში გამოყოფილ არჩევით კომპონენტს, რომელიც არის პროგრამის შემადგენელი ნაწილი.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ მოდული იყო მონათესავე საგნების გაერთიანება, რომელიც გადის გარკვეულ შედეგებზე და აღწერილი უნდა იყოს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებში.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს იყო თუ არა სწავლის შედეგები აღწერილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით მოდულში შემავალი კურსების სილაბუსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, განაცხადა, რომ ყველა სილაბუსში გამოყოფილი იყო ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ თუ სილაბუსებში იყო ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, მაშინ მოდულშიც უნდა მომხდარიყო ორივე მათგანის ასახვა და არა მხოლოდ - დარგობრივი კომპეტენციების.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ ზოგადი კომპეტენცია საერთო იქნებოდა ყველა მოდულისათვის, შესაბამისად, ზოგადი კომპეტენციების გამოტანა და დარგობრივი კომპეტენციების მოდულში ჩაშლა ლოგიკური იყო.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ იგი ხელმძღვანელობდა კვალიფიკაციათა ჩარჩოთი.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოსათვის გასაგები იყო ექსპერტის პოზიცია.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.4 კურიკულუმის „ღირებულებების“ ნაწილში აღწერილი შედეგები უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის სწავლის შედეგებია (უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე–3 მუხლის, მეხუთე პუნქტი „(ვ) ღირებულებები – პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება“) და არა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის. საგანმანათლებელო პროგრამა მენეჯმენტის შედეგები: „ღირებულებები – მონაწილეობს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად: პატივს სცემს კოლეგებს, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, მონაწილეობს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას, ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო ჯგუფში, გამომუშავებული აქვს იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გაანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს ზოგადად ბიზნესის სფეროში. აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსკულტურულ პასუხისმგებელობის როლს ორგანიზაციებში და საზოგადეობაში, გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს და იცავს ეთიკის ნორმებს.“ აღნიშნული შედეგები განსაზღვრულია დარგთან, პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ხოლო ზოგადი, ტრანსფერული კომპეტენციები არ მიიღწევა ([1]თეა ნადირაძის შეფასება).

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, თუ რას ნიშნავდა ჩანაწერი „მონაწილეობს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში“ და გადიოდა თუ არა აღნიშნული ზოგად ღირებულებებზე.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, დაადასტურა, რომ ეს ჩანაწერი გადიოდა ზოგად ღირებულებებზე ბიზნესის სფეროში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, ხაზგასმით აღნიშნა ჩანაწერის მეორე ნაწილი - „(...) და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში“, რაც გულისხმობდა, რომ სტუდენტი მონაწილეობდა, როგორც უშუალოდ ბიზნესის სფეროს, ისე, საზოგადოდ, ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენ პროგრამას ახორციელებდა დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა ორ პროგრამას.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა დაზუსტების თხოვნით ექსპერტს, იყო თუ არა ექსპერტის აზრით, ერთ პროგრამაში ღირებულებების ნაწილი სწორად მოცემული, ხოლო მეორე პროგრამაში - ხარვეზიანად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ ერთ პროგრამაში ხარვეზის დაფიქსირება განპირობებული იყო იმით, რომ ერთი ექსპერტი, კონკრეტულად კი, თეა ნადირაძე, აღნიშნულს მიიჩნევდა ხარვეზად, ხოლო მეორე ექსპერტი, მაკა კაჭარავა, რომელმაც, თავისმხრივ, მეორე პროგრამა შეამოწმა, არ ეთანხმებოდა ამ ხარვეზს.

ექსპერტმა, მაკა კაჭარავამ, დაადასტურა, რომ იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტ, თეა ნადირაძის, მოსაზრებას. მისი აზრით, პირველი წინადადება პირდაპირ წარმოადგენდა ღირებულების ფორმულირებას, ანუ „ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად“.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა ეს ჩანაწერი პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ ეს ჩანაწერი იყო პროგრამაში და ექსპერტებსაც, სწორედ, პროგრამიდან ჰქონდათ გაკეთებული ამონაწერი.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.5 საგანმანათლებლო პროგრამების პირველ სემესტრში სავალდებულო სასწავლო კურსი „ბიზნესის ეთიკაა" განსაზღვრული, მაშინ როდესაც სტუდენტს ბიზნესის არსის მისი მნიშვნელობის, მისი საფუძვლების შესახებ ცოდნა არ აქვს, შესაბამისად, შეუძლებელია აღნიშნული საგნით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. სასწავლო კურსი „სამეწარმეო სამართალი" განსაზღვრულია კურიკულუმის არჩევით კომპონენტებში, მაშინ როდესაც მენეჯმენტის სპეციალობაში ის წარმოადგენს პროფესიის დაუფლების საფუძველს და მისი სწავლის შედეგები აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო ჩარჩოში განსაზღვრული პირველი საფეხურის შედეგებისათვის.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ იგი ვერ დაეთანხმებოდა შენიშვნას, რადგან მართებულად არ მიაჩნდა, რომ „ბიზნესის ეთიკის" წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს „ბიზნესის საფუძვლები". ამასთან, ნონა ზუმბაძის თქმით, აღნიშნული შესაძლოა გამხდარიყო დავის საგანი, მაგრამ იგი წარმოადგენდა არა ავტორიზაციის, არამედ აკრედიტაციის საკითხს. რაც შეეხება, „სამეწარმეო სამართალს" საფაკულტეტო სავალდებულო საგნად დაწესებულებას მითითებული ჰქონდა „ბიზნეს სამართალი", რომელიც მოიცავს სამეწარმეო სამართლიდან იმ საკითხებს, რაც ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტს სჭირდება, შესაბამისად, გაუგებარი იყო, რატომ უნდა ასწავლიდეს დაწესებულება ცალკე საგნად „სამეწარმეო სამართალს".

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დამაკმაყოფილებლად მიიჩნია დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებაში შემუშავებულია შემდეგი სამართლებრივი აქტები: „შპს – თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის აკადემიის დებულება"; „შპს – თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების დებულება"; შპს – თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის აკადემიის ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი"; „შპს – თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება და მექანიზმები"; „შპს – თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება"; „შპს – თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის აკადემიური საბჭოს დებულება"; „შპს – თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება"; „შპს – თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის აკადემიის მოწვეულ სპეციალისტთა /მასწავლებელთა შერჩევის წესი"; „შპს – თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"; „შპს – თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის აკადემიის პროფესიული გავითარებისა და გადამზადების ცენტრის დებულება". დაწესებულების ძირითადი დებულებით განსაზღვრულია სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, თუმცა არ არის შემუშავებული შინაგანაწესი. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ" მე–43 მე–7, მე–8 და მე–10 ნაწილის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია წესდებაში (ამ შემთხვევაში დებულებაში) და შინაგანაწესში განსაზღვრული ჰქონდეს სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება. დაწესებულების დებულების 32 – ე მუხლით განსაზღვრულია ეთიკის კოდექსი/სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, სადაც აღწერილია სტუდენტთა ქცევის

შეზღუდვის სახეები, თუმცა არ არის განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა, სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო, არ არის განსაზღვრული თუ რომელი ორგანოა პასუხისმგებელი გამოიკვლიოს მტკიცებულებები, შესაბამისად, დაწესებულების მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულების პირობები არ არის გაწერილი. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციის აღრიცხვა, ასევე, შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელშიც განსაზღვრულია შემოსული, გასული დოკუმენტაციის საქმისწარმოების პროცედურები, დირექტორის ბრძანებების, ხელშეკრულებებისა და შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის, მოძრაობისა და გაფორმების წესები, ასევე, სხდომების, თათბირების ოქმების გაფორმების წესი, განსაზღვრულია პირად საქმეებში არსებული დოკუმეტაციის ნუსხა, არქივის მუშაობის ძირითადი მიზანი და მუშაობის ზოგადი წესი. საქმისწარმოების შესრულება დასტურდება შესაბამისი ჟურნალების არსებობითა, რომელშიც დარეგისტრირებულია დირექტორის ბრძანებები, ხელშეკრულებები.

2.1 შენიშვნასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ დებულებაში მითითებული იყო მიმღები ორგანო, უბრალოდ, არ იყო მითითებული ქცევის ნორმები.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ მითითებული არ ყოფილა არც გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ, აღნიშნა, რომ თან ჰქონდა წამოღებული დებულება და შეეძლო ეჩვენებინა იგი, როგორც ექსპერტის, ისე საბჭოს წევრებისათვის. ნონა ზუმბაძემ წაიკითხა ამონარიდი დებულებიდან - „აკადემიაში დისციპლინარულ საქმისწარმოებას ახორციელებს კადრებისა და კანცელარიის სამსახური აკადემიის დირექტორთან შეთანხმებით.“ ნონა ზუმბაძემ, დამატებით აღნიშნა, რომ იგი ეთანხმებოდა ექსპერტს იმ ნაწილში, რომ სანქციები არ იყო გაწერილი. შესაბამისად, დასკვნის ჩაბარებისთანავე დაწესებულების მიერ დაიწყო მუშაობა ამ საკითხზე და გაიწერა სანქციები, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც საბჭოს სხდომაზევე შეეძლო ენახა ექსპერტსაც და საბჭოს წევრებსაც.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ მათ რაიმე შეკითხვა ექსპერტთან ან დაწესებულების წარმომადგენელთან. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ შეკითხვა არ ჰქონდათ.

20 საათსა 50 წუთზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 20 საათსა და 58 წუთზე.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების სურვილი იყო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 400-ით.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენ კვ.მ.-ს შეადგენდა დაწესებულების ფართი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა 632 კვ.მ. სასწავლო ფართი.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი აკადემიური პერსონალი ჰყავდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენდა 18-ს.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 206036083) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

6. შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, თეა ნადირაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდულში M01 შემავალი სასწავლო კურსებია: „საქართველოს ისტორია“, „აკადემიური წერა“, „ინფორმატიკის საფუძვლები“, „მეტყველების კულტურა“ და ინგლისური ენა. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი განმარტვას მოდულის დეფინიციას, სადაც აღნიშნულია, რომ ის წარმოადგენს დამოუკიდებელ თანმიმდევრულ ბლოკს, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს და განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირი და თანმიმდევრობა. აღნიშნულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებელი ბლოკი – „საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების/მოდული M01” არ აერთიანებს მონათესავე საგნებს (გარდა ინგლისური ენისა – ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2, ინგლისური ენა 3, რომელთა შორის დადგინდებოდა ურთიერთკავშირი.

1.2 საბაკალავრო და სამაგისტრო „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამების კურიკულუმის გრაფა „სასწავლო გეგმა“ მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კურსთა დასახელების, კრედიტთა მოცულობის, საკონტაქტო დროის განაწილების, დამოუკიდებელი დროის შესახებ. ამავე გრაფის ქვეშ არის მინიშნება იმის თაობაზე, რომ საკონტაქტო დროში არ იგულისხმება შუალედური და დასკვნითი გამოცდის საათები, თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებში ისინი განსაზღვრულია საკონტაქტო დროში. აღნიშნულის თანახმად დასტურდება, რომ პროგრამას არ გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე მოახდინა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის ციტირება: „მოდული – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული

შეადგენს სასწავლო გეგმას“. წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ამ განმარტების შესაბამისად, საუნივერსიტეტო მოდული ყველა პროგრამისათვის იყო ერთიდაიგივე, მოდული სტუდენტს აძლევდა ზოგად კომპეტენციებს, ამ მოდულში არსებული საგნები, სწორედ, ამიტომ იყო ამ პრინციპით დაჯგუფებული.

წარმომადგენელმა, ეკატერინე როჭიკაშვილმა, დამატებით აღნიშნა, რომ საუბარი იყო საუნივერსიტეტო საერთო საგნების მოდულზე, რომელიც ყველა პროგრამისათვის იყო საერთო და უზრუნველყოფდა ზოგადი კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული ნიშნით გაერთიანებული იყო ინგლისურის გარდა, „საქართველოს ისტორია“, „აკადემიური წერა“, „ინფორმატიკის საფუძვლები“, „მეტყველების კულტურა“, ანუ ზოგადი კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული საგნები, რომელიც საერთო იყო ყველა პროგრამისათვის. აქვე, დაწესებულების წარმომადგენელმა, 1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტის შეფასებას, იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამას არ გააჩნდა თანმიმდევრული სტრუქტურა. წარმომადგენლის განმარტებით, ინფორმაცია სასწავლო კურსთა დასახელების, კრედიტთა მოცულობის, საკონტაქტო დროის განაწილების, დამოუკიდებელი დროის შესახებ ნაჩვენები იყო ორი სახით - №1 და №2 დანართებში; სასწავლო გეგმაში (დანართი №2) დაწვრილებით იყო ჩაშლილი დანართი №1-ში მოცემული ინფორმაცია - საკონტაქტო დროის მოცულობა აღნიშნული იყო კვირეული დატვირთვითაც და სემესტრული დატვირთვითაც; ამასთან, მინიშნებაში მითითებული იყო, რომ საკონტაქტო დროს წარმოადგენს ლექციისა და სამუშაო ჯგუფში მოშაობის საათები, შესაბამისად, მასში არ იგულისხმება შუალედური და დასკვნითი გამოცდის საათები; აქვე მითითებული იყო საკონტაქტო დრო შუალედური და დასკვნითი გამოცდების საათების გაანგარიშებით, სემესტრული დატვირთვით. წარმომადგენლის თქმით, ყველა სილაბუსში დეტალურად იყო ჩაშლილი ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია, აქედან გამომდინარე, დაწესებულებისათვის გაუგებარი იყო ექსპერტთა ჯგუფის შეფასება.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ შენიშნვა ეხებოდა პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურის არარსებობას, რაც გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ კურიკულუმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის - სასწავლო გეგმის ქვეშ იყო მინიშნება იმის თაობაზე, რომ საკონტაქტო დროში არ იგულისხმება შუალედური და დასკვნითი გამოცდის საათები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ხუციშვილმა, დაადასტურა ექსპერტის მიერ დასახელებული ჩანაწერის არსებობა, თუმცა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმაში ცალცალკე იყო მოთითებული საკონტაქტო საათები კვირაში და საკონტაქტო საათები სემესტრში, ამასთან, საკონტაქტო საათები კვირაში მოიცავდა მხოლოდ სალექციო და სამუშოა ჯგუფში მუშაობის საათებს.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ადეკვატური იყო თუ არა მსგავსი ჩანაწერი იმ კვირასთან მიმართებითაც, რომელშიც ტარდებოდა გამოცდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ხუციშვილმა, განაცხადა, რომ მოცემულ კვირეულ დატვირთვაში გამოცდები არ მოიაზრებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, დამატებით აღნიშნა, რომ მსგავსი მიდგომით დაწესებულებას სწორედ იმის ასახვა სურდა, რომ ის დრო, რომელიც არ გულისხმობს ლექციას (სტუდენტის აქტივობას) და გულისხმობს შუალედურ თუ დასკვნით გამოცდას, არ მოიაზრება კვირეულ დატვირთვაში. შუალედური და დასკვნითი გამოცდის კომპონენტი მოიაზრებოდა სემესტრულ დატვირთვაში.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოსათვის გასაგები იყო, როგორც დაწესებულების, ისე ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენ საათს უდრიდა დაწესებულებაში ერთი კრედიტი.

დაწესებულების წარმომადგენელის, ზვიად არძენაძის, განმარტებით, ერთი კრედიტი გულისხმობდა 25 საათს.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რას მოიცავდა საკონტაქტო საათად მითითებული 45 საათი.

დაწესებულების წარმომადგენელის, ზვიად არძენაძის, განმარტებით, აღნიშნული 45 საათი იყო საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობა - იგი გულისხმობდა, როგორც სალექციო და სამუშაო ჯგუფის, ისე შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის განკუთვნილ საათებს.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.3 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია" აგებულია შემდეგი სტრუქტურით: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდული 30 კრედიტი; სპეციალობის საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები 71 კრედიტი; სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდული 20 კრედიტი; პროფესიული პრაქტიკა 20 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტი. ამ შემთხვევაში, დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია" ითვალისწინებს შემდეგ კომბინაციას – ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესი გრძელდება წელიწადში 40 კვირა, კვირაში 5 დღე და დღეში 4–5 საათი, სემესტრის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო კვირა (სალექციო პერიოდი) და დამატებით 5 კვირა (სასესიო–საკონსულტაციო, დასკვნითი საგამოცდო სამუშაოები, დასკვნითი გამოცდის გადაბარება), „სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი", როდესაც კურიკულუმით განსაზღვრული კომპონენტები და სასწავლო კურსთა სემესტრულად გადანაწილება არ იძლევა საშუალებას სემესტრში 30 კრედიტის ვალდებულების შესრულების – პირველი სემესტრი სტუდენტს სთავაზობს 29 კრედიტს, მეორე სემესტრი 31 კრედიტს, მესამე სემესტრი 31 კრედიტი და ა.შ. აღნიშნულით დასტურდება რომ კურიკულუმი არ არის თანმიმდევრული.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის, ეკატერინე როჭიკაშვილის, განმარტებით, დაწესებულება პირველ სემესტრში სტუდენტს სთავაზობდა 29 კრედიტს, მეორეში - 31 კრედიტს, მესამეში - 31 კრედიტს და მეოთხე სემესტრში - 29 კრედიტს, იქვე კურიკულუმში იყო განმარტებული, რომ წელიწადში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 60 კრედიტი.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ მისი აზრით, ექსპერტთა შენიშვნა ეხებოდა არა წელიწადში 60 კრედიტის, არამედ სემესტრულად 30 კრედიტის დაძლევის შეუძლებლობას; დაწესებულება თავად მოდიოდა წინააღმდეგობაში საკუთარ რეგულაციასთან, კერძოდ, თავად ჰქონდა განსაზღვრული სემესტრში 30 კრედიტის დაძლევის მოთხოვნა, თუმცა სტუდენტს სთავაზობდა ორ სემესტრში 29 კრედიტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ კრედიტთა ჯამური ოდენობა ყველა შემთხვევაში იყო 60 კრედიტი, რაც შეეხება სემესტრში 29 კრედიტის შეთავაზებას, პროგრამის ზოგად სტრუქტურაში გამორჩენილი იყო სიტყვა „საშუალოდ", ანუ მოთხოვნა უნდა ყოფილიყო საშუალოდ 30 კრედიტი და არა სავალდებულოდ - 30 კრედიტი.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.4 კურიკულუმის „შეფასების მეთოდების“ გრაფაში განსაზღვრულია სტუდენტთა შეფასების საერთო სისტემა, რომელიც ყველა სილაბუსისთვის ერთგვაროვანია – „ფინალური გამოცდა – 40 ქულა, ორი შუალედური სემესტრული შეფასება – 40 ქულა (თითოეული 20 ქულა).“ თუმცა კურიკულუმის პროფესიული პრაქტიკა სილაბუსებში „შუალედური გამოცდა/შეფასება – მაქსიმალური ქულა 15“ ქულაა, შესაბამისად პროგრამის სტრუქტურა არათანმიმდევრულია.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე როჭიკაშვილმა, აღნიშნა, რომ კურიკულუმში ნამდვილად იყო გათვალისწინებული, რომ დასახელებული თანაფარდობით უნდა მომხდარიყო სასწავლო კურსების შეფასება, მაგრამ სასწავლო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის შეფასება, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილი იყო დებულებით.

საბჭოს წევრი, ლელა ქელბაქიანი, დაინტერესდა იყო თუ არა შესაბამისი მითითება კურიკულუმში შეფასების განსხვავებული წესის შესახებ. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოითხოვა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ მისთვის კურიკულუმი გადაცემა და საბჭოს წინაშე მოახდინა ჩანაწერის ციტირება: „კომპონენტები ფასდება ქულებით, რომელიც აისახება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში“.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში კომპონენტებზე ქულების გადანაწილებას ახდენდა სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.

ექსპერტი, თეა ნადირაძე, არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებას და აღნიშნა, რომ ლექტორის მიერ დანარჩენ კომპონენტებზე ქულების გადანაწილება გულისხმობდა, მაგალითად, 20 ქულიანი შუალედური წერის შეფასების კრიტერიუმთა შორის ამ 20 ქულის განაწილებას, რაც ინდივიდუალურია სილაბუსში და არა - შუალედური წერის 20 ქულიანი შეფასების შეცვლას.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ საბოლოო ჯამში, ექსპერტისა და დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებების შესაბამისად, დავა ეხებოდა იმ საკითხს, რომ საბაკალავრო ნაშრომის შეფასება, ამოვარდნილი იყო სართო შეფასების წესიდან. საბჭოს წევრის განცხადება დაადასტურა ექსპერტმა.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.5 პროგრამა „ფარმაცია“ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის დაცვას, რომლის სილაბუსის გრაფაში „შეფასების კრიტერიუმები და ფორმები“ მითითებულია – „დაცვაზე დაშვების წინაპირობა – დაცვაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს არა ნაკლებ 11 ქულა“, ამავე გრაფაში მითითებულია საბოლოო დადებითი და უარყოფითი შეფასების ქულების ჩამონათვალი, ხოლო არ არის განსაზღვრული შუალედური შეფასების ქულის რაოდენობის გადანაწილება შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებზე – საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესის შეფასება სილაბუსში არ არის განსაზღვრული. ამავე სილაბუსში გაწერილია, რომ „საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ფორმები მოცემულია თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულებაში“. აღნიშნული სამართლებრივი აქტის მეექვსე მუხლის მეთორმეტე პუნქტის თანახმად საბაკალავრო ნაშრომი ფასდება „ხელმძღვანელის ზოგადი დახასიათება–შეფასება/დასკვნა: მაქსიმალური ქულა – 10“, „რეცენზენტის შეფასება – მაქსიმალური ქულა –

20“, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა –„თუ სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებათა ჯამი შეადგენს 11 ქულაზე ნაკლებს სტუდენტი არ დაიშვება საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე“. „საკვალიფიკაციო კომისიის შეფასება: – მაქსიმალური ქულა 40“. აღნიშნულით დასტურდება, რომ მომზადებული საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა 100 ქულის ნაცვლად არის 70 ქულა, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება – „უმაღლესი საგანმანათლებელო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე–4 მუხლის მესამე ნაწილით განსაზღვრულ წესს.

1.6 საგანმანათლებლო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგიაში“ განსაზღვრულია შემდეგი კომპონენტები: „30 კრედიტი საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები, 30 კრედიტი ფილოლოგიის ზოგადი კომპეტენციის სავალდებულო სასწავლო კურსები, 90 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, 15 კრედიტი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, 5 კრედიტი პრაქტიკა, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი, 60 კრედიტი დამატებითი სპეციალობა.“ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი კომბინაციით: ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები. „ინგლისური ფილოლოგიის“ პროგრამაში ისევე, როგორც „ფარმაციაში“ იდენტური საკითხია საბაკალავრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით.

1.7 საგანმანათლებლო პროგრამა „ტელეკომუნიკაცია“ შემუშავებულია შემდეგი კომბინაციით – 30 კრედიტი საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები, 55 კრედიტი სპეციალობის საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები, 115 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, 20 კრედიტი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, 10 კრედიტი პრაქტიკა და 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი – ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები. აღნიშნულ პროგრამაში ისევე, როგორც „ფარმაციის“ პროგრამაში განსაზღვრულია სტუდენტის მიმართ ვალდებულება სემესტრში 30 კრედიტის დაძლევის შესახებ, როდესაც კურიკულუმის სასწავლო გეგმაში სემესტრულად განაწილებული საგნები ამის საშუალებას არ იძლევა. პროგრამა არათანმიმდევრულია.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, განაცხადა, რომ დებულებაში გაწერილი იყო მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურა, რომელიც შეეხება უკვე შესრულებულ საბაკალავრო ნაშრომს. რაც შეეხება შუალედურ შეფასებებს, წარმომადგენლის თქმით, მას საბჭოს სხდომაზე წამოღებული ჰქონდა სამივე საბაკალავრო დონის სილაბუსი, აქედან ერთი - „ფარმაციის“ სილაბუსი ექსპერტს თავადვე ჰქონდა წამოღებული დანართის სახით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტის შენიშვნას, იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთ სილაბუსში გამორჩენილი იყო შუალედური შეფასების კომპონენტი; თუმცა შუალედური შეფასება არსებობდა ორი შუალედური გამოცდის სახით, უბრალოდ, სილაბუსში გამორჩენილი იყო ქულები.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაზუსტება, თუ რას გულისხმობდა დაწესებულების წარმომადგენელი შუალედურ გამოცდაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, განაცხადა, რომ შუალედური გამოცდა გულისხმობდა საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში შესრულებული სამუშაოს შეულედურ შეფასებას.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ დანართის სახით წამოღებული სილაბუსის გრაფაში „შეფასების კრიტერიუმები და ფორმები" მითითებული იყო მხოლოდ ის, რომ დაცვაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს არა ნაკლებ 11 ქულა. სილაბუსიდან არ ჩანდა, თუ როგორ მოიპოვებს სტუდენტი ამ 11 ქულას. ამასთან, საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შუალედური შეფასების შესახებ ინფორმაცია მოცემული იყო დებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, დააზუსტა, რომ ბაკალავრიატის დებულებაში მოცემული იყო ინფორმაცია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის შეფასების კრიტერიუმებისა და ფორმების შესახებ. რაც შეეხება, არა დასრულებული ნაშრომის, არამედ შუალედურ შეფასებას, დაწესებულებას საბჭოს სხდომაზე მოტანილი ჰქონდა სამი სილაბუსი, სადაც ასახული იყო ეს ინფორმაცია.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, საბაკალავრო ნაშრომის შეფასება იყო თუ არა ერთიანი და რამდენი ქულით ფასდებოდა იგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ შეფასება იყო ერთიანი და იგი ფასდებოდა მაქსიმუმ 100 ქულით.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ შეფასებების მიხედვით ცალ-ცალკე სილაბუსების არსებობა მისთვის გაუგებარი იყო, რადგან არც ერთ სხვა დაწესებულებაში არ არსებობდა შუალედური შეფასებისათვის ცალკე სილაბუსის არსებობის პრეცედენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ ცალკე სილაბუსს არ ეხებოდა საქმე, შუალედური შეფასების კომპონენტი სილაბუსში გამორჩენილი იყო. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდებოდა ერთიანი სისტემით, რაც გაწერილია დებულებაში, ხოლო შუალედური შეფასება (ქულებით) გაწერილი უნდა ყოფილიყო სილაბუსებში, რაც ერთ სილაბუსში არ დაფიქსირდა.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, სთხოვა ექსპერტს დაზუსტება, ეხებოდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ განმარტებული ხარვეზი „ფარმაციის" სილაბუსს და რაში მდგომარეობდა 1.6 ხარვეზი.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, დაადასტურა, რომ შენიშვნა ეხებოდა „ფარმაციის" სილაბუსს. რაც შეეხება 1.6 ხარვეზსს, ექსპერტის განმარტებით, „ინგლისური ფილოლოგიაში" დაფიქსირდა იგივე ხარვეზი, რაც „ფარმაციაში".

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, როგორ წარმოედგინა მას საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესი, ანუ რა მოქმედებები უნდა განეხორციელებინა სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, განაცხადა, რომ პირველ რიგში, დებულებით, ხდებოდა თემატიკის არჩევა, ხელმძღვანელის შერჩევა, შემგედ იწყებოდა თემაზე მუშაობა. ეს პროცესი დაყოფილი იყო სამ ეტაპად, პირველი ეტაპი - მოსამზადებელი ეტაპი (მასალების მოძიება), ამ ეტაპის შესაფასებლად უნივერსიტეტი ატარებდა შუალედურ გამოცდას, რომელიც ფასდებოდა მაქსიმუმ 15 ქულით.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, სად იყო აღწერილი ზემოთქმული ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ მის მიერ გაცხადებული ინფორმაცია ასახული იყო საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებში (ერთი სილაბუსის გარდა, რომელიშიც ეს ინფორმაცია იყო გამორჩენილი).

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რას აფასებდა დაწესებულება მეორე შუალედური გამოცდით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ მეორე შუალედური გამოცდით დაწესებულება აფასებდა სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებითა და მასზე დაყრდნობით საკითხის დეტალური შესწავლის ფაქტს.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ვინ აფასებდა სტუდენტის მიერ სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებითა და მასზე დაყრდნობით საკითხის დეტალური შესწავლის ფაქტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ შუალედურ შეფასებებს ახდენდა ხელმძღვანელი.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, როდესაც ბაკალავრიატის ზოგად დებულებაში ხელმძღვანელის ზოგადი დახასიათება/შეფასება კრიტერიუმებით იყო გაწერილი, თუ სტუდენტის შუალედურ შეფასებას მართლაც ახდენდა ხელმძღვანელი, მაშინ რატომ არ არსებობდა დოკუმენტში აღნიშნულის შესახებ რაიმე მითითება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ მითითების არარსებობა განპირობებული იყო იმით, რომ ბაკალავრიატის დებულება ეხებოდა უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომს.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, განაცხადა, რომ ბაკალავრიატის დებულება მოიცავდა, როგორც საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, ასევე მასზე მუშაობის ყველა ეტაპს.

დაწესებულების წარმომადგენელი, ზვიად არძენაძე, დაეთანხმა საბჭოს წევრის შეფასებას და აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ბაკალავრიატის დებულებაში სრულად ყოფილიყო გაწერილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების შესახებ ინფორმაცია, რა შემთხვევაშიც, არც ექსპერტს აღარ ექნებოდა შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, 1.6 და 1.7 ხარვეზებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნა, არ ეხებოდა მხოლოდ ერთ სილაბუსს, როგორც ამას დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავდა.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, დაადასტურა საბჭოს წევრის მოსაზრება, ამასთან აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პრობლემა არ იყო მხოლოდ სილაბუსში, პრობლემა იყო ასევე დებულების ჩანაწერშიც, რადგან დებულებაში განსაზღვრული შეფასებების ქულათა ჯამი არ იყო 100.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, საბჭოს სხდომაზე ნიმუშის სახით გადაამოწმა ფილოლოგიის პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც იგივე ხარვეზის შემცველი აღმოჩნდა.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.8 დაწესებულებას „ბაკალავრიატის დებულებით" განსაზღვრული აქვს აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი, რომელიც მოიცავს სტუდენტის ვალდებულებას საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე უცხო ენის სერთიფიკატის წარდგენის შესახებ. თუმცა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით - „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" 31.05.2013 №60/ნ ცვლილებების საფუძველზე აღნიშნული ვალდებულება არ არის გათვალისწინებული.

შესაბამისად, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა არ დასტურდება.

1.8 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ პროგრამები შემუშავებული და დამტკიცებული იყო მაშინ, როდესაც ძველი რეგულაცია მოქმედებდა. მართალია, რეგულაცია გაუქმდა, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე უცხო ენის სერთიფიკატის წარდგენის შესახებ ვალდებულების დატოვება არ იყო კანონთან წინააღმდეგობაში.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ სადავოა, რამდენად მართებული იყო საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, დაწესებულების მიერ საკუთარი ინიციატივით მსგავსი ვალდებულების შენარჩუნება, რადგან აღნიშნული გულისხმობდა დაწესებულების მხრიდან სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებაში ხელოვნური ბარიერის შემქნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა უფლება თავად დაეწესებინა მსგავსი სახის დამატებითი მოთხოვნები.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ სტუდენტს ბაკალავრიატის საფეხურზე კვალიფიკაცია მიენიჭება 240 კრედიტის მოპოვების შედეგად, შესაბამისად, დაწესებულებას არ ჰქონდა უფლება ამ მოთხოვნის მიღმა კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი სხვა რაიმე ბარიერი დაეწესებინა. მსგავსი დამატებითი მოთხოვნის პირობებში, დაწესებულება უხეშად არღვევდა კანონს, ვინაიდან სტუდენტს, რომელსაც დაწესებულებისავე დადებითი შეფასებით დაგროვებული ჰქონდა 240 კრედიტი, არ ანიჭებდა ბაკალავრის კვალიფიკაციას დამატებითი ბარიერის დაძლევის გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ დასახელებული ცვლილება განხორციელდა 30 მაისს, ამის შემდეგ დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა დასახელებული საკანონმდებლო ცვლილება.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, როდის განხორციელდა ვიზიტი დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 7, 8 და 9 ივლისს.

ცენტრში გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 8, 9 და 10 ივლისს.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას საკანონმდებლო ცვლილებიდან ექსპერტთა ვიზიტამდე ჰქონდა საკმაო პერიოდი ცვლილების განხორციელებისათვის.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.9 დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში აღწერილია შედეგები ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. კურიკულუმს გააჩნია შედეგების რუქა, რომელშიც მონიშნულია პროგრამაში შემავალი ყველა სასწავლო კურსის კომპეტენციები. საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმის)

შედეგებში გვხდება არჩევითი სასწავლო კურსთა შედეგებიც, შესაბამისად თუ სტუდენტმა არ აირჩია კონკრეტული საგანი ის ვერ მიაღწევს კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამებში ნათლად უნდა იყოს გამიჯნული ძირითადი სპეციალობის შედეგები, სავალდებულოდ მიღწეული და არჩევითი საგნების შედეგები, რომელიც სხვადასხვა სტუდენტის შემთხვევაში განსხვავებულია. მაგალითად – სამაგისტრო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" შედეგებში გაწერილია კურსდამთავრებულის კომპეტენცია რისკებში, რომელიც მიიღწევა არჩევითი სასწავლო კურსით „რისკების მართვა". საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში გაწერილი შედეგები ზოგ შემთხვევაში ამ სილაბუსით დაგეგმილი აქტივობებით არ მიიღწევა, მაგალითად „ფარმაციის" პროფესიულ პრაქტიკაში ღირებულებების გრაფაში გაწერილი კომპეტენცია – „სტუდენტს გაცნობიერებული ექნება, როგორც ფარმაცევტის ისე ბიზნესმენისა და მენეჯერის ეთიკური ნორმები, რაც ხელს შეუწყობს მისი მაღალმოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას" . აღნიშნული შედეგი არ მიიღწევა სილაბუსით განსაზღვრული საკითხებით. აღნიშნულის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, თუმცა იმის გამო რომ პროგრამები არათანდმიმევრულია დაგეგმილი სასწავლო გეგმით კურიკულუმში აღნიშნული შედეგები ვერ მიიღწევა.

1.9 შენიშვნასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, მიმართა კითხვით ექსპერტს, გავიდოდა თუ რა სტუდენტი შედეგზე სხვა საგნის მეშვეობით.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, განაცხადა, რომ სტუდენტი შედეგზე ვერ გავიდოდა სხვა საგნის მეშვეობით, მაგალითად „ფარმაციის" პროფესიულ პრაქტიკაში ღირებულებების გრაფაში გაწერილი კომპეტენცია –„სტუდენტს გაცნობიერებული ექნება, როგორც ფარმაცევტის ისე ბიზნესმენისა და მენეჯერის ეთიკური ნორმები, რაც ხელს შეუწყობს მისი მაღალმოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას". აღნიშნული შედეგი არ მიიღწევა სილაბუსით განსაზღვრული საკითხებით.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, გადიოდა თუ რა სავალდებულო კურსები იმ შედეგზე, რა შედეგზეც გადიოდა არჩევითი კურსები.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, განაცხადა, რომ მითითებულ შედეგზე არ გადიოდა სავალდებულო კურსები, შედეგზე გადიოდა მხოლოდ არჩევითი კურსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე როჭიკაშვილმა, აღნიშნა, რომ სამაგისტო პროგრამაში 80 კრედიტი იყო სავალდებულო, 30 კრედიტი - არჩევითი. 1.9 შენიშვნაში დასახელებული „რისკების მართვა" შედიოდა აღნიშნულ 30 კრედიტში, მაგრამ სავალდებულო საგნებში მოცემული იყო საგანი საერთაშორისო ბიზნესი და საერთაშორისო მენჯმენტი, რომელიც შეიცავს რისკების საკითხებს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, დამატებით აღნიშნა, რომ შედეგზე სტუდენტი გადიოდა 3 სავალდებულო საგნით: საერთაშორისო ფინანსები, საერთაშორისო ბიზნესი და საერთაშორისო მენეჯმენტი.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, განაცხადა, რომ გაიზიარებდა დაწესებულების პოზიციას, თუმცა შედეგებში დაწესებულების მიერვე გადმოტანილი იყო უშუალოდ „რისკების მართვის" სილაბუსში მითითებული შედეგები.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ პროგრამაში ყველა საგნის სწავლის შედეგები იყო გადმოტანილი.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ შედეგებში გადმოტანილი იყო სავალდებულო საგნების პარალელურად, არჩევითი საგნების სწავლის შედეგებიც; არჩევითი

საგნის სწავლის შედეგები არ უნდა ყოფილიყო ძირითადი კურიკულუმის შედეგში მითითებული, რადგან არჩევით საგანს ან აირჩევდა სტუდენტი, ან - არა.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.10 მობილობის წესები განსაზღვრულია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც ითვალისწინებს „სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამის დაწყებამდე, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში". „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს მობილობის დეფინიციას, რომლის ძირითადი პრინციპია სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის უფლებას. მოცემულ შემთხვევაში, სტუდენტს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობისას, სწავლების ერთი წლის შემდეგ, და არა დაწყებისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განახორციელოს მობილობა, რისი შეზღუდვა დაწესებულების მხრიდან დაუშვებელია. ზემოთ აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების – „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" მე–4 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ წესს.

1.10 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, მოიყვანა ციტატა დებულებიდან, რომლის თანახმად: „სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამის დაწყებამდე, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში".

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ არსებობდა განსხვავება სასწავლო პროგრამასა და სასწავლო პროცესს შორის. შესაბამისად, ჩანაწერი გულისხმობდა, რომ გადმოსწვლა სხვა უნივერსიტეტიდან შესაძლებელია მანამ, სანამ დაიწყება კონკრეტული პროგრამის განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ დაეთანხმებოდა საბჭოს წევრის მოსაზრებას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ჩანაწერი გრძელდებოდა ტექსტით „კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში".

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, ჩანაწერი „კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში" აზუსტებდა პერიოდს და ვრცელდებოდა დროის იმ მონაკვეთზე, როდესაც გამოცხადებული იყო მობილობა, თუმცა ეს ჩანაწერი არ აბათილებდა წინა წინადადებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება სასწავლო პროგრამას იწყებდა მეორე სემესტრშიც, მესამეშიც, მეოთხეშიც და ა.შ.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, განაცხადა, რომ დაწესებულების განმარტება არ იყო გონივრული, რადგან სასწავლო პროგრამას იწყებდა პირველ სემესტრში და სასწავლო პროცესს აგრძელებდა იმის მიხედვით, თუ რამდენ სემესტრზე იყო გათვლილი სასწავლო პროგრამა.

ექსპერტმა, თეა შაყულაშვილმა, აღნიშნა, რომ მსგავსი განმარტებით, რაც გულისხმობს ყველა სემესტრში პროგრამის თავიდან დაწყებას, დაწესებულება მისი პოზიციის დასაცავად იყენებდა არგუმენტს, რომელიც პირიქით აუარესებდა მის მდგომარეობას.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჯაყელმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, საგნებისა და მისი წინაპირობების თავსებადობის შესახებ, მაგალითისათვის, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ საგანი „საერთაშორისო ლოჯისტიკა“, მისი აზრით, მოითხოვდა წინაპირობად საგანს „შესავალი ლოჯისტიკაში“, საგანი „სახელმწიფო ვალის მართვა“ მოითხოვდა წინაპირობად საგანს „ფინანსების საფუძვლებს“ და ა.შ. ასევე გაუგებარი იყო, რატომ ჰქონდა საგან „საზოგადოებასთან ურთიერთობას“ წინაპირობად მითითებული საგანი „საერთაშორისო მარკეტინგი“, მაშინ როდესაც „საერთაშორისო მარკეტინგი“ თავად საჭიროებს წინაპირობად „მარკეტინგს“ ან „მარკეტინგის საფუძვლებს“.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც შეეძლო პასუხი გაეცა მსგავსი შეკითხვისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა სამაგისტრო საგნებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტის ცოდნის დონე მოწმდებოდა გასაუბრებითა და გამოცდით, შესაბამისად რაიმე საგნის საფუძვლის სწავლა აღარ იყო საჭირო.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საგნებისა და მისი შესაბამისი წინაპირობების ადეკვატური მიმართება წარმოადგენდა აკრედიტაციის და არა ავტორიზაციის საკითხს, შესაბამისად, საბჭო გადავიდა შემდეგი საკითხის განხილვაზე.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

1.11 დაწესებულების მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებში და თანდართულ სილაბუსებში მითითებულ განმახორციელებელ პირებს პირადის საქმეებით უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაცია, თუმცა კურიკულუმების პრაქტიკის განმახორციელებელი პირები დაწესებულების სამართლებრივი აქტით რეგულირების შესაბამისად სილაბუსში სრულად არ არიან წარმოდგენილი. დაწესებულებაში შემუშავებულია და რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პრაქტიკის დებულება“, რომელშიც გაწერილია პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული წესები, პრაქტიკის მიზნები, სტრუქტურა და სხვა. ამავე დებულების მესამე მუხლში „ტერმინთა განმარტება“ განსაზღვრულია – „პრაქტიკის ხელმძღვანელი – სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომელიც შეიმუშავებს პრაქტიკის პროგრამას (სილაბუსს), ამზადებს სტუდენტებს ამ გეგმის შესაბამისად, ეხმარება მათ პრაქტიკის ანგარიშის დაცვისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოგროვებაში, რაც აგრეთვე მოიცავს პრაქტიკის ადგილზე სტუდენტებთან ვიზიტებს.“, „მენტორი – პირი, რომელიც დანიშნულია საწარმოს მხრიდან და პასუხისმგებელია საწარმოში სტუდენტთა ზედამხედველობაზე“. აღნიშნულ დებულებაში მეხუთე მუხლის 5.2 პუნქტში, გაწერილია თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პრაქტიკის სილაბუსი, რომელთა შორის განსაზღვრულია პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის მონაცემები, ხოლო კურიკულუმის თანდართულ პრაქტიკის სილაბუსებში აღნიშნულია მხოლოდ ლექტორის სახელი და გვარი, არ არის აღნიშნული არის თუ არა ის პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ არის მითითებული. აღნიშნული ადასტურებს შემდეგს, რომ პრაქტიკის სილაბუსი რექტორის მიერ დამტკიცებული პრაქტიკის დებულებით განსაზღვრული წესების დაცვით არ არის შემუშავებული.

1.11 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ანზორ შარაშენიძემ, აღნიშნა, რომ მენტორის ვინაობა განისაზღვრებოდა პრაქტიკის ადგილზე, რადგან წინასწარ უცნობი იყო ვინ გაუძღვებოდა პრაქტიკას.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულება შენობა-ნაგებობებს, ფლობს ორ მისამართზე: ა) ქ. თბილისში, გზატკეცილი რუსთავი, №18-22. (ნაკვეთი № 7/29) და 2. ბ) ქ. თბილისში, გზატკეცილი რუსთავი, №18-22. (ნაკვეთი № 7/34). ორივე მისამართზე შენობა-ნაგებობების ფლობის საფუძველს წარმოადგენს დაწესებულებასა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეს, შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებები, რომელიც დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე დაწესებულება ქ. თბილისში, გზატკეცილი რუსთავი, №18-22. (ნაკვეთი № 7/29) ფლობს 2323.92 კვ.მ.

ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი, რომლის მიხედვითაც შენობის მთლიანი ფართი არის 4866,55კვ,მ. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით საჯარო რეესტრსა და ფაქტიურ ფართს შორის ცდომილების მიზეზი გახლავთ ის, რომ თავდაპირველად აღნიშნული შენობა იყო სამ სართულიანი, ხოლო შემდეგ მერიის შესაბამისი ნებართვის საფუძველზე მოხდა დაშენება/მიშენება, თუმცა ვიზიტის დროისათვის დაშენებული ფართი არ ყოფილა დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად ექსპერტებმა იხელმძღვანელეს ვიზიტის დროს არსებული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემით - 2323.92 კვ.მ. არსებული შენობის - პირველი სართულზე (ნახაზის მიხედვით: 848.29 კვ.მ); არის 3 (სამი) აუდიტორია, ერთი ბიბლიოთეკა, ჰოლი-საკონფერენციო დარბაზი, ქსეროქსის ოთახი, და სველი წერტილი. მეორე სართულზე (ნახაზის მიხედვით: 967,32 კვ.მ): არის (11) აუდიტორია, ბუღალტერის ოთახი,სამედიცინო მომსახურების ოთახი, რექტორატი, სველი წერტილი, სამზარეულო ადმინისტრაციისათვის/ აკად.პერსონალისათვის. მესამე სართულზე (ნახაზის მიხედვით: 930,93 კვ.მ): 14 (თოთხმეტი) აუდიტორია, დეკანატი, სველი წერტილი, სათავსო.

შენობა ნაგებობის მე–4; მე-5 სართულებისა და შენობის ორი გუმბათის ფართის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში დადგენა არ მომხდარა ექსპერტთა ვიზიტის დროს, რადგან წარმოდგენილი შენობის აზომვითი ნახაზის მიხედვით შენობის სამი სართულის ფართი არის 2746,54 კვ.მ. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული შენობის საერთო ფართზე 422,62 კვ.მ-ით მეტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აზომვით ნახაზში ფართის კლასიფიკაცია მოცემულია სართულების მიხედვით სრულად, გამომდინარე აქედან ვერ დგინდება კონკრეტულად საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ფართი 2323.92 კვ.მ. რომელ ოთახებს მოიცავს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ექსპერტებმა განახორციელეს სამი სართულის ფართის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის დადგენა. პირველ, მეორე და მესამე სართულზე არსებული აუდიტორიები (28) აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. ვიზიტის დროს, მეორე სართულზე მდებარე რექტორატში სარემონტო სამუშაოები არ იყო დასრულებული (კერძოდ არ ჰქონდა კარი, იატაკი და ა.შ.) სარემონტო სამუშაოები მე-4 და მე-5 სართულზეც არ არის დასრულებული, თუმცა დაწესებულებას საჭირო საშენი მასალა და შესაბამისი ინვენტარის ნაწილი აქვს დასაწყობებული.

მეორე მისამართზე დაწესებულება ფლობს 1386.59 კვ.მ. შენობა - ნაგებობას. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული შენობის აზომვითი ნახაზი. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით აღნიშნულ შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ამიტომაც წარმოდგენილ კითხვარში დაწესებულებამ აღნიშნული შენობა მიუთითა დამხმარე ფართის სახით. ამ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ექსპერტების მიერ არ

განხორციელებულა აღნიშნული შენობის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის დადგენა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ფაქტობრივად არსებული შენობის მთლიანი აზომვითი ნახაზი, რომელშიც გამიჯნულად, კონტურების მეშვეობით არ არის საჯარო რეესტრის მონაცემის 2323.92 კვ.მ. ფართის კლასიფიკაცია,ამიტომ ფართის კალსიფიკაციისას - სასწავლოდ და დამხმარე ფართებად, ვეყრდნობით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კითხვარში მითითებულ მონაცემებს.

2.2 დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის მისიის დანიშნულება – „წარმოაჩნეს უნივერსიტეტის თვითმყოფადობასა და დანიშნულებას, განსაზღვრავს საქმიანობის მიმართულებებს და შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას". დებულებაში აღნიშნულია, რომ „მისია იქმნება უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ", თუმცა დაწესებულების რექტორის ბრძანებით მისიის შემუშავებაში უნივერსიტეტის საზოგადოების მონაწილეობა დოკუმენტით არ დასტურდება. ასევე დაწესებულების რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვერსია განსხვავდება დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილი მისიისა.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების თვითშეფასებაში მითითებული იყო დაწესებულების მისია და მისი განმარტება, რომელიც დამტკიცებული იყო დაწესებულების რექტორის მიერ.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, იყო თუ არა მისია განთავსებული დაწესებულების ვებგვერდზე.

ექსპერტმა, თეა შაყულაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების მისია განთავსებული იყო ვებგვერდზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანზორ შარაშენიძემ, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს სამჯერ ჰქონდა შეცვლილი სახელწოდება, შესაბამისად, არ იყო გამორიცხული საიტზე ყოფილიყო სხვა მისია, ხოლო რექტორის მიერ დამტკიცებული ყოფილიყო მისიის სხვა ვარიანტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა მოქმედი ერთი მისია.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

2.3 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანების – „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" 24 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დაწესებულების აქტები უნდა გაფორმდეს ბლანკზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დაწესებულების დასახელების, სახის, მისამართისა და საკონტაქტო ინფრომაციის შესახებ. დაწესებულების რექტორის ბრძანების ფორმა არ მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ, ასევე ტიტულზე მითითებული დაწესებულების სახელწოდება არასწორია, ასევე აღნიშნულია სახე – უნივერსიტეტი, თუმცა დაწესებულება სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მაძიებელი პირია.

2.3 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ შიდა ბლანკზე იყო დაწესებულების სახელწოდება, მას დაერტყმებოდა შესაბამისი ბეჭედი და შესაბამისი პირი აწერდა ხელს.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, აკმაყოფილებდა თუ არა ბლანკი რეკომენდაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ, აღნიშნა, რომ რეკომენდაციებში მითითებული იყო, რომ ბლანკი უნდა შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას მისამართისა და საკონტაქტო ინფრომაციის შესახებ. აღნიშნულ მოთხოვნას აკმაყოფილებდა გასული დოკუმენტაციის ბლანკები, რაც შეეხება ბრძანების ბლანკს, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული შენიშვნები და ბლანკზე დატანილი იყო ყველა საჭირო რეკვიზიტი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულებას წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად 2013 წელს აკადემიური თანამდებობების დასაკვებელი კონკურსი არ ჩაუტარებია, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალად მითითებულია 2011 წლის კონკურსის შედეგად დანიშნული აკადემიური პერსონალი, რომელთაც იმ დროისათვის გაუფორმდათ ხელშეკრულებები სამი წლის ვადით ე.ი - 2014 წლის 01 სექტემბრამდე.

აღნიშნული კონკურსები ჩატარდა 2011 წელს - პირველი კონკურსი გამოცხადდა 2011 წლის 23 თებერვლიდან, მეორე კონკურსი 2011 წლის 10 მაისიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა იმ პერიოდისთვის კონკურსის ჩატარების წესის დამადასტურებელი დოკუმენტი „თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის დებულება“. დებულებაში განსაზღვრულია ზოგადი დებულებები, კონკურსის გამოცხადების წესი, კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საბუთები, საკონკურსო კომისია და მისი მუშაობის წესი. დებულების თანახმად ფაკულტეტის დეკანი მიმართვას რექტორს და წარუდგენს ვაკანტური თანამდებობების ნუსხას და კონკურსის ჩატარების ოპტიმალურ ვადებს, კონკურსი ცხადდება საკონკურსო საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. კონკურსის შესახებ განაცხადი დაწესებულებამ გამოაქვეყნა საკუთარ ვებ-გვერდზე და გაზეთში, რომელსაც თავად დაწესებულება გამოსცემდა, რაც ვერ უზრუნველყოფდა კონკურსის გამჭვირვალობას.

2011 წლისათვის დაწესებულება კონკურსს აცხადებს განსხვავებული მიზნებისათვის და როგორც „თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“, საუნივერსიტეტო პროგრამებისათვის, მათ შორის ისეთი მიმართულებით, რომელშიც დღეს დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სასწავლო კურსები. ასეთია „სამართალმცდონეობის მიმართულება“, „სტომატოლოგიის მიმართულება“. იმ პერიოდისათვის შერჩეული კანდიდატებიდან არასრულყოფილი და ბუნდოვანი დოკუმენტაციის, სხვადასხვა მიმართულებაზე (დღეს არარსებული მიმართულებების) გამოცხადებული ვაკანსიების გამო ძნელდება აკადემიური პერსონალის ზუსტი რაოდენობის დადგენა, თუმცა შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში მითითებული რაოდენობით 49 აკადემიური პერსონალი.

საბჭო გადავიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნის განხილვაზე:

6. [illegible]

3.2 დაწესებულებას აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, ანაზღაურების წესი, თუმცა ანაზღაურების ოდენობის გარეშე, დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლებები და ვალდებულებები, მხარეთა პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც შეადგენს სამ წელს და ძალაში შედის 1 სექტემბრიდან (ხელშეკრულება დაიდო 2011წ. 5 აგვისტოს), შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულების სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით რეგულირდება განსხვავებულად, ვიდრე რეგულირდებოდა დაწესებულების მიერ დასაქმებულთან ხელშეკრულების გაფორმების დროს. შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები პარლამენტმა მიიღო 2013 წლის 13 ივნისს და პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ,ოფიცილაურად გამოქყვეყნდა 2013 წლის 04 ივლისს, რომლის თანახმად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს, მასში სრულყოფილად არ არის განსაზღვრული შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები.ხოლო შრომის კოდექსის ახალი რედაქციის თანახმად ხელშეკრულება, რომელიც არ შეიცავს არსებით პირობებს სრულყოფილად, ბათილია.

3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული პროგრამის ხანგძლივობის შესაბამისად, აქედან გამომდინარე, გაურკვეველი იყო ეყოლებოდა თუ არა პესონალი დაწესებულებას მე-7 და მე-8 ან მე-3 და მე-4 სემესტრებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანზორ შარაშენიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰყავდა პერსონალი, ამასთან, დაწესებულებას ჰქონდა 1 წლიანი ვადა და პერსონალის არყოლის შემთხვევაში, იგი ჩაატარებდა კონკურსს. წინა კონკურსები კი, ჩატარებული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე და გაზეთში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების ვებგვერდზე ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია 2011 წელს ჩატარებული კონკურსების შესახებ. ამასთან, კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო დაწესებულების ვებგვედზე, გაზეთში და ასევე, გაზეთ „კვირის პალიტრაში". რომელიც წარმოდგენილი იყო საბჭოს სხდომაზე.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, დაზუსტების მიზნით აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს, გარკვეული დოკუმენტაცია ინახებოდა სხვა მისამართზე და დაწესებულების წარმომადგენლებს იგი ეტაპობრივად მოჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფისათვის. აღნიშნული განმარტება, ექსპერტმა მოიშველია იმ მიზნით, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფისათვის არ მომხდარა გაზეთ „კვირის პალიტრის" წარმოდგენა, შესაბამისად, ექსპერტი ვერ ივარაუდებდა ასეთის არსებობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანზორ შარაშენიძემ, აღნიშნა, რომ შესაძლებელია ექსპერტებს თავადაც გამორჩენოდათ გაზეთის ნახვა. წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 96 პერსონალი, მაგრამ 2 წლის მანძილზე დაწესებულებას შეწყვეტილი ჰქონდა საქმიანობა, შესაბამისად, დაახლოებით ნახევარზე მეტი რაოდენობის პერსონალი გადავიდა სხვა დაწესებულებაში. ამ პერსონალის შენარჩუნების შემთხვევაში,

დაწესებულება გაცილებით მომზადებული შეხვდებოდა ავტორიზაციის პროცესს, დღეს არსებული მდგომარეობით კი, ფაქტიურად საბჭო განიხილვადა 2-3 კაცის ნამუშევარს. წარმომადგენელმა ასევე საბჭოს წევრების წინაშე ახსნა ის გარემოება, თუ რატომ იყო დაწესებულებაში, მაგალითად, ბლანკებთან არსებული გაუგებრობა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეული იყო დაწესებულების სახის ხშირი ცვლილებით.

22 საათსა და 00 წუთზე საბჭოს სხოდამაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 22 საათსა და 27 წუთზე.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ იყო დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204393717) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:29 საათზე.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე